საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/74

ქ. ბათუმი 13 ივლისი, 2023 წ.

შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ბსუ-ს მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე მობილობისათვის ვაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების, ,,შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 06 ივლისის №1.1/96 ბრძანების და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№27-05/08, 11.07.2023) და დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 23 0000866246, 11.07.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ბსუ-ს მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე მობილობის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხვისათვის განისაზღვროს 50 ვაკანტური ადგილი.
2. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება ,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის შპს ,,დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ბსუ-ში რიგგარეშე მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ.

3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის წარდგენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის.

4. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).

5. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება *შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).*

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**